

თემის შეფასების სქემა (დავალება 8)

**ეროვნული გამოცდები / უცხოური ენები  
მაქსიმალური ქულა 16. ენობრივი სირთულის მოთხოვნის დონე - B1**

ქულა	როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას; არის თუ არა აზრი გადმოცემული თანმიმდევრულად. <i>Fluency/Task fulfilment</i>	როგორ არის დაცული გრამატიკულ-ლექსიკური სიზუსტე. ასევე სიზუსტე მართლწერასა და პუნქტუაციაში. <i>Accuracy</i>	ქულა
8-7	<ul style="list-style-type: none"> <li>- <b>ნაწერი ძალიან კარგია.</b> იგი სრულყოფილად პასუხობს დავალებას.</li> <li>- აზრი მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. გამყარებულია მაგალითებით და პირადი მოსაზრებებით.</li> <li>- ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- გრამატიკული შეცდომების რაოდენობა 3-ს არ აღემატება. გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები.</li> <li>- ლექსიკა მდიდარია.</li> <li>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები უმნიშვნელოა.</li> </ul>	8-7
6-5	<ul style="list-style-type: none"> <li>- <b>ნაწერი კარგია.</b> პასუხობს დავალებას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ზედმეტი ან, პირიქით, არასაკარისი ინფორმაცია მოცემული.</li> <li>- აზრი ძირითადად კარგად არის გადმოცემული. ჩანს პირადი მოსაზრება და/ან მოყვანილია მაგალითი.</li> <li>- ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დაძაბვა უხდება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- დაშვებულია 4-7 გრამატიკული შეცდომა, არასწორი სინტაქსური სტრუქტურების ჩათვლით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძირითადი აზრის გაგებას.</li> <li>- ლექსიკა დავალებისა და მოთხოვნის შესატყვისა.</li> <li>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები ძირითადად ხელს არ უშლის აზრის გაგებას.</li> </ul>	6-5
4-3	<ul style="list-style-type: none"> <li>- <b>ნაწერი საშუალო დონისაა.</b> აზრი ძირითადად გასაგებია, თუმცა ზოგ შემთხვევაში აზრის მიყოლა ჭირს. ინფორმაცია ზოგადია, დებულებები მეორდება. წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად ცუდად უკავშირდება. პირადი მოსაზრება მკაფიოდ არ ჩანს.</li> <li>ან: ნაწერი 61-109 სიტყვაა, ან: <b>ნაწერი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დავალებას.</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- დაშვებულია 8-11 გრამატიკული შეცდომა. გამოყენებულია მეტისმეტად მარტივი და/ან არასწორი სინტაქსური სტრუქტურები.</li> <li>- ლექსიკა საკმაოდ მარტივი და შეზღუდულია.</li> <li>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს, რაც, ზოგ შემთხვევაში, ხელს უშლის აზრის გაგებას.</li> </ul>	4-3
2-1	<ul style="list-style-type: none"> <li>- <b>ნაწერი (ძალიან) სუსტია.</b> ინფორმაცია ზოგადი და მწირია. აზრის გაგება, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია.</li> <li>ან: ნაწერი 60 სიტყვა ან ნაკლებია /დაწერილია რამდენიმე წინადადება.</li> <li>ან: ზოგადი სახის დებულებები, რომლებიც კონკრეტულ თემას არ უკავშირდება, ხშირად მეორდება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- დაშვებულია 11-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. წინადადებები სტრუქტურულად გაუმართავია.</li> <li>- ლექსიკა ძალზე მარტივი და შეუსაბამოა.</li> <li>- მუღავნდება მართლწერისა და პუნქტუაციის წესების სუსტი ცოდნა.</li> </ul>	2-1
0	ფურცელი ცარიელია ან დაწერილია მხოლოდ ერთი წინადადება ან გადმოწერილია დავალების ინსტრუქცია.	დაწერილია რამდენიმე წინადადება, საიდანაც აზრის გამოტანა შეუძლებლია. შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში.	0